პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 96 (3073) 21 1966 წ. მაისი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ორივე პარტია ყაიმით..

მოსკოვი, 20 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგა პეტროსიან— სპასკის მატჩის XVI პარტიის დამთავრება.

როგორც ცნობილია, შეწყვეტილ პოზიციაში ინიციატივას ფლობდა სპასკი, მაგრამ პეტროსიანს ყაიმის რეალური შანსები ჰქონდა. თამაშის განახლებისას პრეტენდენტმა ვერ გაბედა აქტიური ოპერაციების წამოწყება. როგორც ჩანს, იგი საშინაო ანალიზით დარწმუნდა, რომ ასეთი თამაში მას ბევრს არაფერს მოუტანდა. ამიტომ ფიგურების უბრალო გადაჯგუფების შემდეგ თავად შესთავაზა ყაიმი მეტოქეს.

აი, რა სვლები გაკეთდა პარტიის დამთავრებისას:

**41. c4 ლg6 42. მd5 ეg8 43. ლe3 მფh7 44. ლd2 ეgg7 45. ლe3 მფg8 46. ეd2 მფh7 47. ეdf2 ეf8 48. ლd2 ეgf7 49. ლe3. ყაიმი.**

დღეს ესტრადის თეატრში გაიმართა XVII პარტია.

პეტროსიანმა, ისე როგორც XV პარტიაში, სიცილიური დაცვა გაითამაშა. სპასკი თავიდანვე შეუდგა საიერიშო პოზიციის აგებას. მან წასწია მეფის ფრთის პაიკები და მოემზადა შავ მეფეზე თავდასხმისთვის. ამასობაში პეტროსიანმა მძლავრი კონტრშეტევა განავითარა ლაზიერის ფრთაზე. მოსალოდნელი იყო მძაფრი, უშეღავათო ბრძოლა. მაგრამ ასე არ მოხდა.

მე-15 სვლაზე სპასკიმ 45 წუთი იფიქრა და რატომღაც ხელი აიღო იერიშის განვითარებაზე, რითაც დიდად გააოცა პრეს-ცენტრში მყოფი დიდოსტატები. სპასკიმ გაცვალა თავისი „ლამაზი" f5 პაიკი, უკან დასწია შემტევი ფიგურები და თამაში გაამარტივა.

ამის შემყურე მსოფლიო ჩემპიონმა მე-20 სვლაზე სპასკის ყაიმი შესთავაზა, მაგრამ პრეტენდენტმა უარი თქვა დაზავებაზე. მაშინ ცენტრში დარტყმით პეტროსიანმა ახალი გაცვლები გამოიწვია და პოზიცია სავსებით გაათანაბრა.

მალე მეტოქეებმა ეტლებიც გაცვალეს. ჯერი ლაზიერებზეც მიდგა. ამიტომ 30-ე სვლაზე სპასკიმ ყაიმი შესთავაზა პეტროსიანს, რომელმაც მიიღო წინადადება.

**სპასკი — პეტროსიანი**

**1. e4 c5 2. მf3 მc6 3. მc3 g6 4. g3 კg7 5. კg2 მf6 6. d3 0—0 7. მh4 ეb8 8. f4 d6 9. 0—0 კd7 10. f5 b5 11. კg5 b4 12. მd5 a5 13. მფh1 მe5 14. ლd2 კc6 15. ეae1 a4 16. ლe2 ლd7 17. კc1 ლb7 18. მe3 e6 19. fe fe 20. მf3 მ:f3 21. ე:f3 d5 22. ed ed 23. მg4 ეbe8 24. მ:f6+ კ:f6 25. ეe3 ე:e3 26. ლ:e3 ეe8 27. ლf2 ე:e1+ 28. ლ:e1 მფf7 29. ლe2 ლe7. ყაიმი.**

ამრიგად, XVII პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 9:8 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ. 23 მაისს შედგება XVIII პარტია.

## პირველი შეტევის ძალა

**ხელბურთი**

კიევი, 20 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური. თბილისის „ბურევესტნიკი" შეხვდა ბაქოს „დინამოს".

მატჩი ბაქოელთა შეტევებით დაიწყო, რომლებიც მალე დაწინაურდნენ — 4:1. შემდეგ თამაში გათანაბრდა და ოთხჯერ ფრე აღინიშნა—5:5, 6:6, 8:8, 9:9. ასევე ფრედ დამთავრდა პირველი ტაიმი — 10:10.

შესვენების შემდეგ ბურევესტნიკელები გააფთრებით ეკვეთენ მეტოქის კარს და ანგარიშმაც თბილისელთა სასარგებლოდ იწყო ზრდა. ამას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ თბილისელები შესანიშნავად ახორციელებდნენ პირველ შეტევას. სულ რაღაც 5 წუთში ჩვენებმა 4 გოლი გაიტანეს. მატჩის საბოლოო შედეგია 23:19 „ბურევესტნიკის" სასარგებლოდ.

გამარჯვებულთაგან ბურთების ავტორები არიან ცერცვაძე (7), ზარდალიშვილი, ფხაკაძე (6-6), ექსეულიძე, ბაგრატიონი (2-2). შესანიშნავად ითამაშა მეკარე აბაიშვილმა. დაცვაში შეთანხმებულად მოქმედებდა ბაგრატიონ — ექსეულიძის „დუეტი".

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (მოსკოვი) — ტირასპოლის გუნდი 20:23, „ჟალგირისი" (კაუნასი) — „დაუგავა" (რიგა) 23.17. დანარჩენი მატჩები გვიან ღამით დამთავრდა.

ჯ. ენუქიძე.

## ფეხბურთის მერიდიანებზე

✦ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეორე ფინალურ მატჩში არგენტინის „რივერ-პლეიტმა" დაამარცხა ურუგვაის „პენიაროლი" — 3:2, მაგრამ ვინაიდან პირველი მატჩი მონტევიდეოში არგენტინელებს წაგებული ჰქონდათ (0:2), გადამწყვეტი, მესამე თამაში დაინიშნა პერუს დედაქალაქ ლიმაში. ეს მატჩი გამოარკვევს მადრიდის „რეალის" მეტოქეს საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში.

✦ გაიმართა პოლონეთისა და შვეციის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა, რომელიც დამთავრდა ფრედ — 1:1.

✦ ბრაზილიის II ნაკრები ბელუ-ორიზონტეში შეხვდა უელსის ნაკრებს. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა. გოლი გაიტანა ნახევარმცველმა ლიმამ.

## უკანასკნელი საათი...

◆ რიო-დე-ჟანეირო, 20 მაისი: „მარაკანას" სტადიონზე 65 ათასი მაყურებლის წინაშე მსოფლიო ჩემპიონმა — ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებმა მინიმალური ანგარიშით დაამარცხა ჩილის ეროვნული გუნდი — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი ამარილდოს მიწოდებით 55-ე წუთზე გაიტანა ჟერსონმა. ბრაზილიელთა შორის განსაკუთრებით აღნიშნავენ ბრიტოს, ალტაირსა და სილვას, ხოლო ჩილიელებში — კრუზს, ფიგუერას, გოდოის, მარკოსსა და ლ. სანჩესს. გუნდები ასეთი შემადგენლობებით თამაშობდნენ: ბრაზილია — ჟილმარი, კარლოს ალბერტო, ბრიტო, ალტაირი, რილდო, დენიელსონი, ჟერსონი, გარინჩა, სერვილიო (პარადა), პელე (სილვა), ამარილდო (პარანა); ჩილი — გოდოი, ეისაგუირე, კრუზი, ფიგუერა, ვილანუევა, მარკოსი, იავარი (რეინოსო), არაიია (რამირესი), ტობარი, ფილოკსი, ლ. სანჩესი.

◆ ვარშავა, 20 მაისი. პოლონელმა ე. ბუტშერმა წლეულს ევროპაში მეორე შედეგი აჩვენა ჭოკით ხტომაში — 495 სმ. ბუტშერზე უკეთ ჩვენს კონტინენტზე მხოლოდ გ. ბლიზნეცოვი გადახტა (502 სმ, ახალი საკავშირო რეკორდი).

◆ პარიზი, 20 მაისი. საფრანგეთისა და სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ორდღიანი მატჩის სტარტზე მხოლოდ რ. ისლანოვამ შეძლო გამარჯვების მოპოვება: მან მოუგო ო. დე-რუბენს — 7:5, 5:7, 6.4. ჯერჯერობით წინ არიან მასპინძლები — 4:1.

◆ ჰააგა, 20 მაისი. საბჭოთა სპორტსმენმა ვ. დრაუგსმა ყველას აჯობა ჩრდილოეთ ჰოლანდიაში მდებარე დაბა ნორგის მახლობლად გამართულ საერთაშორისო მოტოკროსში. ვ. არბეკოვი, რომელმაც მოიგო პირველი ორი სერია (თვითეული — 3,1 კმ), მესამე ცდაში ძრავის შეფერხების გამო მხოლოდ IX იყო და საერთო ჩათვლაში II ადგილით დაკმაყოფილდა.

◆ მანტი, 20 მაისი. ცნობილმა ფრანგმა მორბენალმა მ. ჟაზიმ სპორტული სეზონი საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებით დაიწყო, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქის მახლობლად მდებარე ამ პატარა ქალაქში გაიმართა. ჟაზიმ 1500 მეტრზე აჩვენა 3.41,8. მას 0,8 წამით ჩამორჩა პოლონელი ვ. ბარანი.

◆ პარიზი, 20 მაისი. პროფესიონალებში მსოფლიოს 1964 წლის ჩემპიონმა საგზატკეცილო რბოლაში 290 კმ-ზე, ჰოლანდიელმა ველოსიპედისტმა ი. იანსენმა გაიმარჯვა ღედამიწის ყველაზე გრძელ ერთეტაპიან რბოლაში ბორდო — პარიზი (557 კმ). მისი დროა 14:19 48 (საშუალო სიჩქარე — თითქმის 39 კმ საათში). რბოლაში 11 სპორტსმენი მონაწილეობდა და თერთმეტივემ დაამთავრა დისტანცია, რაც იშვიათი მოვლენაა ასეთ რთულ შეჯიბრებაში.





## მოწაფე და მასწავლებელი

თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა დედაქალაქის პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები და საწარმოთა კოლექტივები. ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში რ. ამბარიანმა (ასკ) და თ. მდივანმა (სპორტკლუბი „სინათლე") დაძლიეს 203 სმ. გამარჯვება მიეკუთვნა მდივანს, რომელმაც იგი პირველივე ცდაზე გადალახა. ამ შეჯიბრებაში უფროსი მსაჯის მოვალეობას ასრულებდა რომის ოლიმპიადის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. შავლაყაძე, რომელიც ახლა საქართველოს სიმაღლეზე მხტომელებს ავარჯიშებს.

სურათებზე: ზევით — თ. მდივანმა დაძლია 203 სმ და ახლა მორიგი ნახტომისთვის ემზადება; ქვევით — რ. შავლაყაძე ზომავს თამასის სიმაღლეს.

ფოტო ო. გელაშვილისა.

## სტუმრების უპირატესობით



ბათუმი, 19 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლის III ეტაპზე (ზუგდიდი—ქუთაისი, 105 კმ) ასპარეზობა თავიდან მეტად დუნედ წარიმართა და ველოსიპედისტები მე-19 კილომეტრამდე ერთ ჯგუფად მიდიოდნენ. შემდეგ, გზატკეცილის უვარგისობის გამო ჯგუფი დაიშალა, მაგრამ 34-ე კილომეტრზე ისევ შეერთდა. სპორტსმენებმა დაწინაურება პირველად მე-40 კილომეტრზე სცადეს, მაგრამ ამაოდ. მალე ს. გრიშკევიჩის („განთიადი") ველოსიპედს საბურავი დაუზიანდა. თანაგუნდელს რ. გუძის დაელოდა და „განთიადის" დუეტი 4 კილომეტრის შემდეგ წამოეწია კიდეც წინ წასულთ.

ქუთაისის მისადგომებთან, როცა ფინიშამდე 5 კმ იყო დარჩენილი, წინ გავიდნენ აზერბაიჯანის ნაკრების წევრები ვ. ოსტროვი და ტ. დეტინიჩი. ძირითადი ბრძოლა სწორედ აქ გაჩაღდა. სტუმრებმა—პირველებმა დაამთავრეს დისტანცია. ფინიშთან ერთად მივიდნენ დივეიკინი, ტოლმუსკი და ოსტროვი — 2:37.35, ადგილები ამ ეტაპზე მათ ამავე თანმიმდევრობით გაინაწილეს.

გუნდურ ჩათვლაშიც I და II ადგილები მოიპოვეს აზერბაიჯანის ნაკრებმა (7:53.21) და ახალგაზრდულმა ნაკრებმა (7:55.59). საქართველოს გუნდებმა ერთმანეთში გაიყვეს III-VIII ადგილები. დრო ყველამ ერთნაირი (7:57.36) აჩვენა (ეტაპის საშუალო სისწრაფე — 40,1 კმ).

3 ეტაპის შემდეგ ლიდერობა შეინარჩუნა ე. მელკოვმა — 8:25.17. II ადგილზეა დივეიკინი — 8:26.43, III— ი. კრასავცევი („დინამო") — 8:29.12. გუნდურ ჩათვლაში კი ადგილები ასე განაწილდა: 1. აზერბაიჯანის ნაკრები— 25:16.35, 2. „განთიადი" — 25:25.26, 3. „დინამო" — 25:27.52.

IV ეტაპის (ქუთაისი—ბათუმი) დისტანცია 143 კილომეტრი იყო, 18 მაისს ქუთაისში ძლიერი ქარი ჰქროდა. არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად, ბრძოლა საინტერესო გამოდგა. უკვე მე-20 კილომეტრზე კრასავცევი დაწინაურდა. იგი დიდხანს მარტოდმარტო ებრძოდა მოსახვევებს, ციცაბო აღმართებს.

დროდადრო სისწრაფე 60-70 კილომეტრს აღწევდა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო დაღმართებში და ზურგქარის დროს.

უკან დარჩა მახარაძე, ქობულეთი... ბათუმისკენ მიმავალ გზაზე წინ აღმოჩნდა 13-კაციანი ჯგუფი, სადაც იყვნენ აზერბაიჯანის ნაკრების, „კოლმეურნისა" და „დინამოს" 3-3, „ბურევესტნიკისა" და აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრების 2-2 და ერთი განთიადელი ველოსიპედისტი. ჩაქვის უღელტეხილთან ისინი 5 წუთით უსწრებდნენ ჩამორჩენილთ. მალე წინ გაიჭრნენ შეჯიბრების ლიდერის მოგვარე, თბილისის დინამოელი ე. მელკოვი და ა. მოგუშევი („კოლმეურნე"), მაგრამ ბაქოელ ე. მელკოვის ინიციატივით ისინი სწრაფად „დაიჭირეს".

ბათუმში ფინიშთან ერთდროულად მივიდა 12-კაციანი ჯგუფი. ყველამ აჩვენა ერთნაირი დრო — 3:47.38. I ადგილზეა თბილისის დინამოელი ე. მელკოვი, II — იყო ოსტროვი, III — ნ. ეფრემენიუკი („კოლმეურნე").

ამ ეტაპზე გუნდურ ჩათვლაში „დინამომ" და აზერბაიჯანის ნაკრებმა გაიყვეს I-II ადგილები — 11:22.54. III ადგილზე გავიდა „კოლმეურნე" — 11:24.06.

4 ეტაპის ჯამში პირად ჩათვლაში ლიდერობას ინარჩუნებს ე. მელკოვი (აზერბაიჯანი) — 12:12.55. II ადგილზე გადაინაცვლა ე. მელკოვმა („დინამო") — 12:15.58. III-VI ადგილებზე არიან საქართველოს სპორტსმენები ი. კრასავცევი, გ. კეხბა (ორივენი — „დინამო"), ა. მოგუშევი („კოლმეურნე") და გ. ყაველაშვილი („ბურევესტნიკი") — 12:16.50. გუნდურში ლიდერობენ: აზერბაიჯანის ნაკრები — 36:39.29, „დინამო" — 36:50.46 და „კოლმეურნე" — 36:53.30.

# შარშან უკეთესად, ვიდრე შარშანწინ, წლეულს მეტია საჭირო

## რამაც გაგვახარა...

ჩვენი რესპუბლიკა სამართლიანად ამაყობს სპორტული ტრადიციებით. საქართველოს სპორტსმენებს ბევრჯერ უსახელებიათ სამშობლო და ბრწყინვალე ფურცლები ჩაუწერიათ სსრ კავშირისა და მსოფლიოს სპორტის მატიანეში. ფიზკულტურულმა კოლექტივებმა პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით, პროფკავშირებისა და კომკავშირის აქტიური მონაწილეობით, ყოველდღიურ საქმიანობაში ფართო საზოგადოებრიობაზე დაყრდნობით, 1964-65 წლებში დიდი მუშაობა ჩაატარეს რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობისთვის, რის შედეგადაც გადაჭარბებით შესრულდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების, სსრ კავშირის სპორტის ოსტატებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმა. ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შვიდწლიანი გეგმის ვადამდე — 6 წელიწადში განაღდებას.

საქართველოს ფიზკულტურელებმა დიდი წვლილი შეიტანეს ტოკიოს ოლიმპიადის არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა დელეგაციის გამარჯვებაში. ბოლო 2 წლის მანძილზე საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებებში კარგად გამოვიდნენ ჩვენი მთამსვლელები, მოჭიდავეები, ხელბურთელები, ველოსიპედისტები, ჩოგბურთელები, მოჭადრაკეები, მოფარიკავეები და სხვა სახეობათა წარმომადგენლები. შარშან უფრო დიდ წარმატებას მივაღწიეთ. შარშანწინ საქართველოს ათლეტებმა 66 სხვადასხვა მედალი, 1965 წელს კი უკვე 100, მათ შორის, ოქროს 38, ვერცხლის 29 და ბრინჯაოს 33 მედალი მოიპოვეს. ამას უნდა დავუმატოთ, რომ წლეულს სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა 53 სპორტსმენი, მწვრთნელი, სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

ფიზკულტურასა და სპორტში დიდი წარმატებისთვის საქართველოს სპორტკავშირს წლეულს მეშვიდედ მიეკუთვნა სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშებით დაჯილდოვდნენ, აგრეთვე, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო, „კოლმეურნის" ცენტრალური, ხოლო საპატიო სიგელებით — საქართველოს „სპარტაკის", „განთიადის", „ლოკომოტივის", „შრომითი რეზერვებისა" და „ბურევესტნიკის" საბჭოები.

საერთო წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აჭარის, რუსთავის, ფოთის, გორის, მახარაძის, ზუგდიდის, ბორჯომის, კასპისა და სხვა სპორტკავშირებმა, რომლებმაც ფიზკულტურელთა რიგებში მიიზიდეს მოსახლეობის დაახლოებით 30 პროცენტი და დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა.

ამაღლდა საწარმოთა, საკოლმეურნეო და სასწავლო დაწესებულებებში ფიზკულტურული საქმიანობის ხარისხი. მარტო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 400 ათასამდე ფიზკულტურელია. ამ მხრივ მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა თბილისის, ქუთაისის, ფოთის, გორის, ზუგდიდის, მაიაკოვსკის, მახარაძის, ახალციხის, წულუკიძის, სამხურისა და სხვა სკოლებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაიაკოვსკელთა და წულუკიძელთა წამოწყება. მაიაკოვსკის კოლმეურნეობასთან საზოგადოებრივ საწყისებზე გაიხსნა ბავშვთა სპორტსკოლა, ამ სკოლაში ფიზაღზრდის მასწავლებლის ქვანიას ხელმძღვანელობით მუშაობენ მძლეოსნობის, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკისა და სხვა ჯგუფები. წულუკიძის რაიონის ყველა სკოლაში მოაწყეს ახალი და შეაკეთეს არსებული ბაზები. შემოქმედებითი მუშაობაა გაშლილი თბილისის, ქუთაისის, ბათუმის ბავშვთა კომპლექსურ სპორტსკოლებშიც.

კარგი ტრადიციები აქვთ თბილისის უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზკულტურულ კოლექტივებს, რომლებიც მუდამ წარმატებით გამოდიან სტუდენტთა საკავშირო თამაშებში. დაწინაურდა გორის პედინსტიტუტიც. ეს უმაღლესი სასწავლებლები სათანადო შევსებას აძლევენ რესპუბლიკის ნაკრებს.

ნაყოფიერად მუშაობენ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, ავჭალის შუშის, ქუთაისის საავტომობილო, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი და გემშენებელი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნებისა და სხვა საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივები, რომლებსაც ტოლს არც საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ორგანიზაციები უდებენ.

სოფლად ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი აღმავლობისთვის კვლავ ბევრი კარგი ღონისძიება ეწყობა. მახარაძის რაიონის შემოქმედის, გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის კოლმეურნეებისა და გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა თაოსნობას — საკუთარი ძალებითა და სახსრებით ააგონ კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები, მიმდევრები გამოუჩნდნენ ზუგდიდის რაიონის ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ირაგოში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა განახლებაში და სხვ.

აი, მოკლედ ის წარმატებები, რაზეც საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის III კონფერენციაზე ილაპარაკა საანგარიშო მოხსენებით გამოსულმა რესპუბლიკის სპორტკავშირის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ.

## ... და რაც გვაღონებს

მომხსენებელს არც ნაკლოვანებები დაუფარავს. თქვა, რომ აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, ჭიათურაში, ბოლნისის, საგარეჯოს, გორის, ვანის, სამტრედიის, თიანეთის, წალენჯიხის, ლაგოდეხის, ხობის, ყვარლის რაიონებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა დაბალ დონეზეა. ამ რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციები წლების განმავლობაში ვერ ზრდიან მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებს, არ ზრუნავენ იმისთვის, რომ შევსება მისცენ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს. ბევრ რაიონულ საბჭოში საქმიანობა თვითდინებაზეა მინდობილი. რეგულარულად არ ეწყობა პრეზიდიუმისა და პლენუმების სხდომები, ხოლო თუ კი ეწყობა; ამ სხდომებზე განხილული საკითხები უმეტესად არააქტუალურია. უფრო მეტიც, ბოლნისის რაისპორტკავშირის კონფერენცია ისე ჩატარდა, რომ მას არ ესწრებოდნენ პარტიულ-კომკავშირული აქტივი, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სკოლების ხელმძღვანელები.

საქალაქო და რაიონული სპორტკავშირების უყურადღებობის გამო ბევრგან სპორტული ბაზები მოუვლელია, ხოლო მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა — ჩაშლილი. აბაშის რაიონის სოფელ ეწერში ფეხბურთის მინდორი სახნავად გადააქციეს, სტადიონის რკინის მესერი კი ავტოსატრანსპორტო კანტორაზა და სახერხ ქარხანას გაუნაწილეს. ცხინვალის რაიონის სოფელ ქსუისში და მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ზედა დიმში კოლმეურნეობათა გამგეობებმა ფეხბურთის მინდვრები და სარბენი ბილიკები გადახნეს.

ცხადია, ამ ამბავში სათანადო „წვლილი" მიუძღვით ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკურ საბჭოებსაც. ფიზკულტურულ კოლექტივებისადმი ნაკლები ყურადღებისა და მომთხოვნელობის გამო იყო, რომ „დინამომ" შარშან ვერ შეასრულა სპორტის ოსტატების მომზადების გეგმა. „ლოკომოტივში" ცუდად დგას ცურვის, წყალში ხტომის, თავისუფალი ჭიდაობის განვითარების საქმე. ამ სახეობებში მათ არც მწვრთნელები ჰყავთ და არც გუნდები. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭო თავს არ იწუხებს წყალში ხტომის, ცურვის, წყალბურთისა და თანამედროვე ხუთჭიდის პოპულარიზაციისთვის. იმის მიუხედავად, რომ საამისო პირობები აქვთ, საწყლოსნო სახეობები ცუდად არის დანერგილი „შრომით რეზერვებშიც".

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა მოსწავლეთა ფიზაღზრდის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე და აღნიშნა, რომ ბევრ ჩვენს სკოლაში თანრიგოსანთა მომზადება ყოველწლიურად VII-XI კლასების მოსწავლეთა საერთო რიცხვის 10-12 პროცენტს არ აღემატება, ხოლო რესპუბლიკის 179 სასკოლო ფიზკულტურულ კოლექტივს შარშან საერთოდ არც ერთი თანრიგოსანი არ მოუმზადებია. რა არის მიზეზი, რომ სკოლების ფიზკულტურელთა პროცენტული რაოდენობა მცირეა? ის, რომ მოსწავლეებს ხშირად უსაფუძვლოდ ათავისუფლებენ მეცადინეობიდან, რომ ცოტა გვაქვს კეთილმოწყობილი ბაზა, ზოგჯერ კი ფიზაღზრდის მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია. რესპუბლიკის 4000-ზე მეტი სკოლიდან სპორტდარბაზი მხოლოდ 479-ს აქვს. ახლაც ხშირად შენდება სკოლები უდარბაზოდ. საკმარისია ითქვას, რომ უკვე ორი წელია გლდანის სპეციალიზებული სპორტული სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები სავარჯიშოდ თბილისში დადიან.

სერიოზული ხარვეზები შეიმჩნევა ბათუმისა და ცხინვალის სპეციალიზებული მძლეოსნური სპორტსკოლების, ლენინის რაიონისა და სიღნაღის კომპლექსური სპორტსკოლების, თბილისის ტანვარჯიშის ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლის საქმიანობაში. მაგალითად, სიღნაღის სპორტსკოლის 16 ჯგუფიდან შარშან არც ერთს არ გაუზრდია თანრიგოსანი.

ცუდადაა საქმე ტექნიკუმებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. განსაკუთრებით ჩამორჩებიან ტოპოგრაფიული, კოოპერაციული, საბიბლიოთეკო და სტომატოლოგიური ტექნიკუმების, სოხუმის სამედიცინო სასწავლებლისა და სხვა კოლექტივები.

სპორტის აღმზრდელობით-გამაჯანსაღებელ მნიშვნელობას ჯეროვნად ვერ აფასებენ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის რექტორატი, პარტიული კომიტეტი, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. აკადემიური მეცადინეობა ფიზაღზრდაში მხოლოდ I და II კურსებზე და ისიც კვირაში ერთხელ ტარდება, რითაც უხეშად ირღვევა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ბრძანება. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა მხოლოდ 13 პროცენტია სპორტში ჩაბმული. ცუდად მუშაობენ სოხუმის სუბტროპიკული კულტურების, ცხინვალის, თელავის, ბათუმის პედინსტიტუტების ფიზაღზრდის კათედრები და სპორტული კლუბები. ყველაფერი რიგზე არც სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობის საქმეშია.

— საწარმოთა ფიზკულტურულ კოლექტივებში ბოლო წლებში მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, — განაგრძო გ. სიხარულიძემ, — მაგრამ ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ორგანიზაციებს, სადაც თავი ვერ დააღწიეს უმოქმედობას. მაგალითად, თბილისის კალინინის სახელობის ქარხნისა და შამპანკომბინატის, მე-10 ავტოსატრანსპორტო კანტორის, გორის ბამბეულის კომბინატის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და სხვა კოლექტივებში. არის შემთხვევები, რომ ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა საშტატო ერთეულებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ. ასე მოხდა, მაგალითად, თბილისის საბეჭდი ჩარხების ქარხანაში და საქენერგოში.

მომხსენებელმა დიდხანს ილაპარაკა სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებაზე და აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სპორტკავშირი ნაკლებად ზრუნავს ამ სახეობების დანერგვისთვის. ილაპარაკა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის სამზადისზე და ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე, განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ძალოსნობის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ცურვისა და სხვა სახეობების მდგომარეობაზე.

— მძლეოსნობის განვითარებაში მოპოვებული ერთგვარი წარმატების მიუხედავად, თანამედროვე ტემპს მაინც ჩამორჩებით და სსრ კავშირის ჩემპიონატებში VIII-X ადგილებით ვკმაყოფილდებით, — თქვა გ. სიხარულიძემ.

ჩამორჩენის ძირითად მიზეზად მომხსენებელმა დაასახელა ის გარემოება, რომ ამ სახეობას ახალგაზრდობა ნაკლებად ეტანება. საშუალო სკოლები, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლები, სპორტსაზოგადოებების უმეტესობა მძლეოსნობას არ აქცევს სათანადო ყურადღებას, მასობრივი არ არის შეჯიბრებები ამ სახეობაში. მაგალითად, აფხაზეთის კროსში „პრავდის" პრიზზე მხოლოდ 36 მძლეოსანი მონაწილეობდა. ამიტომ რესპუბლიკურ ტურნირში აფხაზეთი სუსტი გუნდით გამოვიდა და ბოლო ადგილი დაიკავა, წაგო წალკის რაიონთან, რომლის გუნდი ერთი სკოლის სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული.

მძლეოსნობის სპეციალიზებულ სკოლებში უმეტესად არასპეციალისტი მასწავლებლები მუშაობენ. მაგალითად, თბილისის მე-15, მე-18, მე-80 სკოლებში. უფრო მეტიც, ზემოჩამოთვლილ და ამას გარდა, მე-13, მე-19, 62-ე, 64-ე, 65-ე და სხვა სკოლებში მძლეოსნური სექტორებიც კი მოშალეს.

„სპორტის დედოფალს" ნაკლებ ყურადღებას აქცევენ „სპარტაკის", „ლოკომოტივის", „შრომითი რეზერვების" საბჭოები, არმიის სპორტკლუბი, „ბურევესტნიკს" კი საერთოდ არა აქვს ბავშვთა სპორტსკოლა ამ სახეობაში. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ისეთი მწვრთნელები, რომლებიც წლების განმავლობაში უნაყოფოდ იღვწიან და აღმზრდელთა ადგილს აცდენენ. მაგალითად, თბილისში — ჩერქეზიშვილი, სარია, კახაძე, აფხაზეთში — მიქაელიანი, პავლოვი, კორძაია, აჭარაში — გოგუაძე, ბოხუა, კოსოვა, სამხრეთ ოსეთში — გავროჩკოვი და ქებაძე, რუსთავში — აზიზოვი, აბაშაში — ჩხაიძე, ცხაკაიაში — ჭანტურია, წულუკიძეში — აბზიანიძე და სხვ. სპარტაკიადის საერთო ჩათვლაში მოზარდთა და მოსწავლეთა გუნდების წარუმატებლობით კი საგრძნობლად დავზარალდებით, ვინაიდან მძლეოსნობა, ისე, როგორც ცურვა, ორმაგ კოეფიციენტს იძლევა.

ბოლო წლებში ტანვარჯიშში მომეცადინეთა რიცხვი 4400 კაცით შემცირდა. სსრ კავშირის უძლიერეს სპორტსმენთა სიაში იშვიათად ვხვდებით საქართველოს ტანმოვარჯიშეებს. ეს კი იმითაა გამოწვეული, რომ მწვრთნელები და სპორტსმენები არასრული დატვირთვით მუშაობენ. ხალხთა სპარტაკიადაზე 92 მოცურავე უნდა წავიყვანოთ და მწვრთნელებმა ჯერ კიდევ არ იციან, შეძლებენ თუ არა გუნდის მაღალკვალიფიციური სპორტსმენებით დაკომპლექტებას.

# საქართველოს სპორტკავშირის III პლენუმი

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა ბაზების, წვრთნის პირობების, სპორტის პროპაგანდის, სპორტსმენთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის, რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების მიერ სპორტინვენტარითა და ფორმით მომარაგების, ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობის, საწარმოო ტანვარჯიშისა და სხვა გამაჯანსაღებელი ღონისძიებების საკითხებზე.

მოხსენებით გამოვიდა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მ. კლდიაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში საფინანსო საკითხებში მნიშვნელოვან დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხარვეზებს ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, ბაკურიანის სამთო-სათხილამურო ბაზისა და სპორტის სასახლის საქმიანობაში. საქართველოს სპორტკავშირის საწყობში ახლაც უქმად აწყვია სპორტინვენტარი და ხელოვნური ტრამპლინი, რომლის დასადგმელი ადგილის გამონახვას საშველი არ დაადგა.

## დელეგატები გულახდილად ლაპარაკობენ

მოხსენების ირგვლივ კამათი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის შ. ბუხრაშვილის გამოსვლით დაიწყო.

— ბოლო 2 წლის განმავლობაში თბილისში სპორტული ბაზების მშენებლობაზე დაიხარჯა 3 მილიონამდე მანეთი, მოეწყო ფრენბურთისა და კალათბურთის 100-ზე მეტი მოედანი, ფეხბურთის 6 მინდორი, გათვალისწინებულია აგება ახალი აუზისა სანაპიროზე და ტრეკისა — საბურთალოზე, „ბურევესტნიკის" სტადიონის რეკონსტრუქცია, — თქვა ბუხრაშვილმა, — მაგრამ ზოგჯერ ბაზები უყურადღებოდაა მიტოვებული. მოუვლელია, მაგალითად, სპორტული მოედნები კომუნარების ბაღში, მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი.

სპორტის ოსტატმა ლ. ტუღუშმა ძირითადად მძლეოსნობის განვითარების ხელისშემშლელ მიზეზებზე ილაპარაკა, მაგრამ არც ფარიკაობა, სასტენდო სროლა და სხვა სახეობები დავიწყებია. თქვა, რომ რესპუბლიკის მძლეოსნობის აღმავლობას აფერხებს სათანადო ბაზების უქონლობა სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, გორში და სხვა ქალაქებსა და რაიონებში. საქართველოში არც ერთი მანეჟი არაა, მესტენდურეებს თბილისში ნორმალური წვრთნის პირობები არა აქვთ, მოფარიკავეებს არ ჰყოფნით დარბაზები.

აჭარაში სპორტის დღევანდელ დონესა და მისი წინსვლის შემაფერხებელ მიზეზებზე ილაპარაკა აჭარის კპ საოლქო კომიტეტის მდივანმა დ. დიასამიძემ.

— ფიზკულტურა და სპორტი ჩვენთან არ არის მასობრივი, ვინაიდან ბევრ სოფელში ფიზკულტურული კოლექტივები ფორმალურად არსებობენ, არ მუშაობენ სექციები, არ ეწყობა ტურნირები, ჩამოვრჩებით ტანვარჯიშში, ძალოსნობაში, ნიჩბოსნობაში, ფარიკაობაში, ცხენოსნობაში, ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად კი ფიზკულტურული და კომკავშირული ორგანიზაციები არაფერს აკეთებენ. სუსტია პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარება. ცოტა გვყავს კვალიფიციური მწვრთნელები.

— მასობრივი ფიზკულტურა და სპორტი დიდად დააზარალა ფიზკულტურაში შტატების შემცირებამ, ბაზების აგების აკრძალვამ და ბათუმის პედინსტიტუტში ფიზკულტურის ფაკულტეტის გაუქმებამ, რაც წინა წლებში მოხდა. ახლა კი ეს ხარვეზი ნაწილობრივ გამოსწორდა და პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა მიიღო დადგენილება ფართოდ გაშალოს სპორტნაგებობათა მშენებლობა.

საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა გ. ჯიბლაძემ აღნიშნა, რომ სასწავლებლებში ბოლო წლებში სპორტის მასობრიობისთვის ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს არ კმარა. იმის მიზეზად, რომ ფიზკულტურული მუშაობა ტექნიკუმებში განსაკუთრებით სუსტია, გ. ჯიბლაძემ ბაზების სიმცირე და პედაგოგთა მომზადების დაბალი დონე დაასახელა.

საქართველოს ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ვ. ჯინჯიხაძემ რესპუბლიკის სპორტინვენტარითა და ფორმებით უზრუნველყოფისა და ლიმიტირებული საქონლით ვაჭრობის საკითხებზე ილაპარაკა.

— ხარვეზების აღმოფხვრისთვის გავატარეთ სათანადო ღონისძიება. გაიზარდა რესპუბლიკაში შემოზიდული სპორტსაქონლის ასორტიმენტი და რაოდენობა, მოიხსნა ლიმიტი. ახლა საქართველოს ფიზკულტურულ კოლექტივებს სპორტსაქონლით ამარაგებს 21 სპეციალური მაღაზია, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც არ კმარა. საჭიროა ადგილზე დამზადდეს ზოგიერთი ის საქონელი, რომელიც შემოგვაქვს, — თქვა მან.

სოფლად ფიზკულტურული საქმიანობის მდგომარეობა გააცნო შეკრებილთ „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ყღენტმა. მან განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ქართული ჭიდაობისა და ცხენოსნობის განვითარების ხელშემშლელ პირობებზე, საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვის, ბავშვთა სპორტსკოლების შექმნის საკითხებზე.

ფიზკულტურაში კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანების, სპორტსმენთა მორალური სახის, ფიზკულტურის მასწავლებელთა კადრების გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ ილაპარაკა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. მეტრეველმა.

კამათში გამოვიდნენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ი. ბეროზაშვილი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის მოადგილე ნ. სერგეევი, თბილისის „დინამოს" სპორტკომბინატის დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე, საქართველოს პროფსაბჭოს განყოფილების გამგე ი. ჩოჩია, წყალბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე გ. მესხიშვილი, ქუთაისის სპორტკავშირის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ახვლედიანი. ითქვა, რომ ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება ფიზკულტურელთა სამედიცინო შემოწმებას, საბჭოთა არმიაში გასაწვევთა ფიზმომზადებას, პროფკავშირული ორგანიზაციების ფიზკულტურასთან კავშირს და სხვ.

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა.

სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, „სოვეტსკი სპორტის" მთავარმა რედაქტორმა ვ. ნოვოსკოლცევმა საქართველოს სპორტულ ორგანიზაციას გადასცა სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშები გადასცათ, აგრეთვე, თბილისის სპორტულ ორგანიზაციასა და „კოლმეურნის" ცენტრალურ საბჭოს.

როგორც ვიუწყებოდით, კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა საანგარიშო პერიოდში საქართველოს სპორტკავშირის მუშაობა. ჩატარდა საქართველოს სპორტკავშირის საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში



# ერთი ტურნირის ორი მხარე

სპორტულ შეჯიბრებას, როგორი მასშტაბისაც უნდა იყოს იგი, ორი მხარე აქვს, — წმინდა ტექნიკური და ორგანიზაციული. ერთიცა და მეორეც სპორტსმენთა დაოსტატების დიდმნიშვნელოვან საქმეს ემსახურება და, ამდენად, ღონისძიების ჩამტარებელი ორგანიზაციის ზრუნვისა და კონტროლის მთავარ ობიექტს წარმოადგენს. ჩემპიონატის დამთავრებისთანავე დგება ანგარიში, რომელშიც ოქმის ლაკონიური ენით ყველაფერია გაანალიზებული: ჩემპიონატის ტექნიკური მხარეც, მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც და, რასაკვირველია, ორგანიზაციული ავკარგი.

საქართველოს პირად-გუნდურმა პირველობამ თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც ამას წინათ ბათუმში გაიმართა, ორგანიზაციის მხრივ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა (მთავარი მსაჯი გ. თარგამაძე). კეთილმოწყობილი დარბაზი მაყურებლებისთვის, ჩინებული საჭიდაო სარბიელი, გულშემატკივართა ობიექტური და ხალისიანი მხარდაჭერა, კვალიფიციური მსაჯობა. შეჯიბრების ნორმალურ ჩატარებას სხვა არაფერი სჭირდება.

პროტესტს მონაწილეთა მხრიდან ადგილი არ ჰქონია — ეს უკვე თავისთავად ბევრს ნიშნავს. გუნდების წარმომადგენელთა და მწვრთნელთა არც ერთი რეპლიკა, ყველაფერი თითქოს წესიერად იყო. ჩემპიონატმა, რომელშიც სხვადასხვა საპატიო მიზეზით რესპუბლიკის უძლიერესი ათლეტები არ გამოდიოდნენ, მონაწილეთა მზარდი ოსტატობა გამოავლინა. ერთი სიტყვით, ტურნირი ყოველმხრივ სამაგალითოდ შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ...

პირველი და მთავარი პრეტენზია ორგანიზაციული საკითხის გამო, მსაჯთა კოლეგიის ან შეჯიბრების ჩამტარებლების მიმართ კი არა, გუნდების მწვრთნელთა და წარმომადგენელთა მიმართ გვეთქმის. ცნობილია, რომ ყოველგვარი შეჯიბრება რაღაც გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული (მონაწილეთა მგზავრობა, კვება და ა. შ.). იგი ანაზღაურებულად ითვლება, თუ ჩემპიონატმა ოდნავ მაინც შეუწყო ხელი სპორტსმენის დაოსტატებას და რაღაც გარკვეული სარგებლობა მოიტანა.

მაგრამ რა ფასი აქვს ასობით კილომეტრის გავლას და ამასთან დაკავშირებული ხარჯების გაღებას, თუ სპორტსმენი პირველსავე დღეს არ გამოცხადდება აწონაზე და, მაშასადამე, მოიხსნება შეჯიბრებიდან? გამოდის, რომ იგი სახელმწიფოს ხარჯზე ზღვისპირა კურორტს მხოლოდ დასასვენებლად და გასართობად სწვევია. ასეთი ხასიათის დარღვევას მასობრივი ხასიათი რომ არ ჰქონოდა, მასზე განსაკუთრებით არც შევჩერდებოდით.

აი, ფაქტებიც: ასაწონად არ გამოცხადდნენ სოხუმელები ტრაპეზუნიანი, ბაბაიანი და კოპალიანი, ქუთაისელი ლომთაძე. ცხინვალელი მოჭიდავე პაპაშვილი, საერთოდ, არ გამოცხადდა ხალიჩაზე, რისთვისაც, რა თქმა უნდა, შეჯიბრებიდან მოიხსნა. წონის რეჟიმის დარღვევისთვის ბრძოლის უფლება დაკარგეს თბილისელმა კორძაიამ და ცხინვალელმა ხანაკოევმა. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამის შესახებ გუნდების ხელმძღვანელები? მიაჩნიათ თუ არა მათ ეს საქციელი სპორტული შეჯიბრების ნორმების დარღვევად? და თუ მიაჩნიათ, კონკრეტულად რას იღონებენ?

ბათუმში სხვა სახის უდისციპლინო მონაწილეებიც იყვნენ, რომელთა მიმართ მსაჯთა კოლეგიამ, სავსებით სამართლიანად გადამჭრელ ზომებს მიმართა. აი, ერთ-ერთი მათგანი — თბილისელი მძიმე წონის ათლეტი ტაბუევა. იგი ადრეც იყო ცნობილი უდისციპლინობით, მაგრამ თანაგუნდელ გოცირიძესთან შეხვედრაში სპორტული ეთიკის დარღვევისა და მეტოქის უპატივცემლობის ყველა „რეკორდი“ მოხსნა. ტაბუევმა ბრძოლის დროს ხელი გაარტყა გოცირიძეს, რითაც არა მარტო მსაჯთა და მაყურებელთა, არამედ მონაწილეთა სამართლიანი გულისწყრომაც დაიმსახურა. ტაბუევი მსაჯთა კოლეგიამ მოხსნა, მაგრამ ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირველადი პროფილაქტიკური ღონისძიება. სპორტსმენის (თუ კი იგი ნამდვილად სპორტსმენია) საქციელი საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

სხვადასხვაგვარი დარღვევისა და უდისციპლინობისთვის შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება წაერთვათ თბილისელ ილურიძეს, ცხინვალელებს ცხოვრებოვს, გაზაევს, ბიტიევსა და სხვ. როგორც ჩანს, რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას სპორტსმენებთან აღმზრდელობითი მუშაობის დონე. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ წესრიგის დამრღვევთა შორის ბევრია ნიჭიერი და პერსპექტიული მოჭიდავე.

მაგალითისთვის საკმარისია ცხინვალიც. ამ ქალაქის ათლეტებს კარგი ფიზიკური და ტექნიკური მონაცემები აქვთ. ასე რომ, ჩემპიონატში დაკავებული VI ადგილი სრულიად არ შეესატყვისება გუნდის ნამდვილ პოტენციალს. მაგრამ ცხინვალელი მოჭიდავეები შეჯიბრების სხვა მონაწილეთაგან აშკარად გამოირჩეოდნენ არაორგანიზებულობით, რაც მათი წარუმატებლობის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა.

ქების ღირსია ბათუმის გუნდი, რომელიც საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის კარგად მოემზადა. ბათუმელებმა „კლასიკოსთა“ ამას წინათ დამთავრებულ რესპუბლიკურ ჩემპიონატში II საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. თავისუფალ ჭიდაობაში მათ ეს წარმატება გაიმეორეს. ჩანს, აჭარის დედაქალაქი სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს მეორე საჭიდაო ცენტრის სახელზე. ყოველ შემთხვევაში, ბათუმელებმა ამჯერადაც უკან ჩამოიტოვეს ქუთაისის გუნდი, რომელიც უდავოდ თმობს თავის პოზიციებს. მისასალმებელია ონელთა V ადგილი. გუნდი, რომელსაც სათავეში უდგას ჭიდაობის ერთ-ერთი ვეტერანი ა. მაისურაძე, სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ ტურნირებში. ეს ფაქტი თავისთავად უკვე წარმატების მომასწავებელია.

ჩემპიონატმა გამოავლინა მთელი რიგი პერსპექტიული მოჭიდავეები. ჩვენ მხოლოდ მათ გვარებს ჩამოვთვლით: ქელეხსაშვილი, ყვარელაშვილი, ხუციშვილი, ქავთარაშვილი, პაპაშვილი, გოცირიძე (ყველანი — თბილისი), მელაშვილი, გოგიჩაიშვილი, ხიდაშელი (ყველანი — ბათუმი), თედეევი (ცხინვალი) და სხვ.

**ნ. ბუზუშვილი.**

მოგვყავს ტექნიკური შედეგები:

გუნდური ადგილები: 1. თბილისი, 2. ბათუმი, 3. ქუთაისი, 4. რუსთავი, 5. ონი, 6. ცხინვალი, 7. სოხუმი.

პირადი ადგილები:

უმჩატესი წონა: 1. მ. დოხტურაშვილი (ქუთაისი), 2. რ. დობორჯგინიძე (ბათუმი), 3. ო. ქელეხსაშვილი (თბილისი).

მჩატე. 1. ა. შეყრილაძე (ქუთაისი), 2. რ. ტიგიევი (თბილისი), 3. რ. მელაშვილი (ბათუმი).

ქვემსუბუქი. 1. გ. ყვარელაშვილი (თბილისი), 2. გ. გოგიჩაიშვილი (ბათუმი), 3. შ. ფიცხელაური (თბილისი).

მსუბუქი. 1. ნ. ხუციშვილი (თბილისი), 2. პ. გაგუა, 3. ს. ქავთარაძე (ორივენი — ბათუმი).

ქვესაშუალო. 1. გ. ფასურიშვილი, 2. თ. ქავთარაშვილი, 3. თ. გოგოლაძე (სამივენი — თბილისი).

საშუალო. 1. შ. პაპაშვილი (თბილისი), 2. თ. ხიდაშელი (ბათუმი), 3. თ. ზანგალაძე (თბილისი).

ქვემძიმე. 1. ნ. ანთიძე, ჯ. ბიჭიაშვილი (ორივენი — თბილისი), 3. დ. ბალათელია (სოხუმი).

მძიმე. 1. გ. გზირიშვილი, 2. ვ. გოცირიძე (ორივენი — თბილისი), 3. თ. ყაჭეიშვილი (ბათუმი).

• • •

სურათებზე (მარცხნიდან მარჯვნივ): მ. დოხტურაშვილი, ა. შეყრილაძე, გ. ყვარელაშვილი, ნ. ხუციშვილი, გ. ფასურიშვილი, შ. პაპაშვილი, ნ. ანთიძე, გ. გზირიშვილი.

ფოტო ვ. გრიშჩენკოსი.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

# მესამე მარცხი

კუიბიშევი. „დინამოს“ სტადიონი. 19 მაისი.

„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „დინამო“ (თბილისი) 2:1 (1:0).

„კრილია სოვეტოვი“: სოკოლოვი, მაიოროვი, სარიჩევი, კაპსინი, ვალკოვი, ფიოდოროვი, საველიევი, მანიშინი, ჟუკოვი, სახაროვი, კიკინი.

„დინამო“: კოტრიკაძე, პეტრიაშვილი, რეხვიაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ილიადი, იამანიძე (ხართიშვილი), დათუნაშვილი, ბარქაია, ხუციშვილი, მესხი.

მსაჯი ა. მენშიკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2.0 „დინამოს“ სასარგებლოდ

თბილისელებს უკვე მესამე მატჩი ჰქონდათ გასვლაზე. ზედიზედ ჩატარებულ ამ 3 შეხვედრაში გუნდმა აიღო სულ 1 ქულა. 5 ქულა პასივშია.

კუიბიშევის მატჩისთვის დინამოელთა მწყობრს დაუბრუნდა მარცხენა გარემარბი მესხი. ტრავმის შემდეგ მინდორზე გამოსვლის საშუალება მიეცათ ცხოვრებოვს და ხუციშვილს. ამით გუნდი, რა თქმა უნდა, გაძლიერდა, მაგრამ თამაშს ეს დიდად არ დატყობია. „კრილია სოვეტოვმა“ შეძლო უპირატესობის მოპოვება და მიაღწია თავის პირველ გამარჯვებას მიმდინარე ჩემპიონატში.

დინამოელთა დამარცხებაში გარკვეული როლი ითამაშა პირველმა გაშვებულმა გოლმა. საველიევის მიერ დარტყმული სრულიად იოლი ბურთი ხელში ვერ დაიჭირა კოტრიკაძემ, დაუგდო ახლოს მყოფ კიკინს და ამ უკანასკნელმა გახსნა ანგარიში — 1:0.

მეორე ტაიმის დასაწყისმა ახალი მარცხი მოუტანა სტუმრებს: „კრილია სოვეტოვის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჟუკოვმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში — 2:0.

დარჩენილ დროში დინამოელებმა მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს (მესხმა 79-ე წუთზე) და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

# მატჩები, გოლები, ავტორები

19 მაისს მორიგი ტურის მატჩები შედგა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში.

ქულა დაკარგა გათამაშების ლიდერმა — კიევის „დინამომ“ ოდესის არმიელთა გუნდთან, ისიც საკუთარ მინდორზე — 1:1. ანგარიში გახსნა მუნტიანმა, სტუმრებმა (პრიგორკო) კი გაქვითეს გოლი.

ასეთივე ანგარიში იქნა ფიქსირებული კიდევ 2 მატჩში. ოდესის „ჩერნომორეცისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრაში, რომელიც ოდესაში შედგა, პირველი ბურთი გაიტანა ოდესელთა თავდამსხმელმა ბოკატოვმა, ხოლო შჩერბაკოვმა სტრელცოვის გადაცემიდან აღადგინა წონასწორობა. მინსკში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ცსკა. გოლების ავტორები არიან ფედოტოვი (ცსკა) და რიომინი.

დამარცხება განიცადა როსტოვში ერევნის „არარატმა“. მართალია, ანგარიში გახსნეს სტუმრებმა (გალსტიანი), მაგრამ შემდგომში ინიციატივა მთლიანად არმიელთა მხარეს გადავიდა. კალინკომ, შიკუნოვმა და ბუროვმა თავიანთ გუნდს გამარჯვება მოუტანეს — 3:1. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში ერევნელებმა ვერ გამოიყენეს პენალტი.

მოსკოვის „დინამოსა“ და ალმა-ათის „კაირატის“ მატჩი მოიგეს მოსკოველებმა — 2:0 (გოლების ავტორები არიან ავრუცკი და ვშივცევი).

ჩემპიონატის საუკეთესო ხნაიპერია კიევის „დინამოს“ თავდამსხმელი ბიშოვეცი — 6 ბურთი. 5-5 გოლი აქვთ გატანილი პარკუიანს („დინამო“, კიევი) და მარქაროვს („ნეფტიანიკი“), 4-4: შჩერბაკოვს („ტორპედო“, მოსკოვი), ბიბას („დინამო“, კიევი), ს. მელქუმოვს („ნეფტიანიკი“), გალსტიანს („არარატი“).

განვლილ ტურში დიდი ანგარიშით მოგებული მატჩების პრიზზე ბრძოლაში მეორე ქულა მიიღო „ნეფტიანიკმა“. აქ კვლავინდებურად წინ არიან კიევის დინამოელები — 4 ქულა.

# 7 გოლი ცალ კარში

ბაქო. რესპუბლიკური სტადიონი. 19 მაისი.

„ნეფტიანიკი“ (ბაქო) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 7:0 (3:0).

„ნეფტიანიკი“: კრამარენკო, ა. ბაბაევი, ბრუხტი, ჯალილოვი, გაჯიევი, სემიგლაზოვი (ტროფიმოვი), კნიაზევი, ტუაევი, ს. მელქუმოვი, მარქაროვი, ი. მელქუმოვი.

„ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, ებრალიძე, სიამაშვილი, ძოძუაშვილი, კუტივაძე, ასიტაშვილი, ვეკუა, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, ხერხაძე.

მსაჯი ი. ბაჩაროვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:0 „ნეფტიანიკის“ სასარგებლოდ.

იშვიათად, რომ გუნდმა ასე უპასუხისმგებლოდ, მოუნდომებლად და სუსტად ჩაატაროს კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე, როგორც ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ითამაშეს 19 მაისს ბაქოში. თუ არ ჩავთვლით კვასხვაძის მიერ აღებულ რამდენიმე ძნელ ბურთს, მათ შორის — პენალტსაც, მოთამაშეთა უმოქმედობას და ინერტულობას დროდადრო დემონსტრაციული ხასიათიც კი ჰქონდა. არც ერთ მათგანს არ უცდია სტიმული მიეცა პარტნიორებისთვის, მოეხდინა დაცვის ორგანიზება, წინააღმდეგობა გაეწია ბაქოელთათვის, რომლებიც მინდორზე აკეთებდნენ ყველაფერს, რაც კი მოესურვებოდათ.

მართალია, „ნეფტიანიკი“ ახლა თამაშობს ძალზე ძლიერად და მასთან ბრძოლა ძნელი საქმეა, მაგრამ ამჯერად ბრძოლა თითქმის არცკი ყოფილა. ტორპედოელებმა მთლიანად ჩააბარეს მინდორი მასპინძლებს და რომ ამ უკანასკნელთ დასჭირებოდათ, ალბათ ანგარიშს „ასტრონომიულ“ ციფრამდე აიყვანდნენ.

ბაქოელებმა ასეთი თანამიმდევრობით გაიტანეს 7 ბურთი „ტორპედოს“ კარში: ს. მელქუმოვი, ი. მელქუმოვი, მარქაროვი, ისევ მარქაროვი, ტუაევი, გაჯიევი, მარქაროვი.

## „ა“ კლასი I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 8 | 6 | 2 | 0 | 22—2 | 14 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 7 | 6 | 1 | 0 | 12—2 | 13 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 8 | 4 | 4 | 0 | 16—3 | 12 |
| „არარატი“ (ერევანი) | 8 | 4 | 2 | 2 | 10—6 | 10 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 8 | 3 | 3 | 2 | 12—9 | 9 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 8 | 4 | 1 | 3 | 8—5 | 9 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 7 | 2 | 5 | 0 | 6—4 | 9 |
| ასკა (როსტოვი) | 7 | 4 | 1 | 2 | 11—11 | 9 |
| ცსკა | 7 | 1 | 5 | 1 | 6—7 | 7 |
| „დინამო“ (თბილისი) | 7 | 2 | 2 | 3 | 7—6 | 6 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 8 | 2 | 2 | 4 | 5—10 | 6 |
| „დინამო“ (მინსკი) | 8 | 2 | 2 | 4 | 8—14 | 6 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 8 | 3 | 0 | 5 | 10—17 | 6 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 7 | 1 | 3 | 3 | 5—9 | 5 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 7 | 2 | 1 | 4 | 5—10 | 5 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 7 | 1 | 3 | 3 | 5—11 | 5 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 8 | 2 | 1 | 5 | 6—14 | 5 |
| ასკა (ოდესა) | 7 | 0 | 4 | 3 | 3—9 | 4 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 7 | 1 | 0 | 6 | 6—14 | 2 |

## „ა“ კლასი II ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 21 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 8 | 5 | 1 | 2 | 13—3 | 11 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 7 | 4 | 3 | 0 | 11—4 | 11 |
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 7 | 4 | 2 | 1 | 13—3 | 10 |
| „თერგი“ (გროზნო) | 8 | 3 | 4 | 1 | 6—5 | 10 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 8 | 2 | 5 | 1 | 9—8 | 9 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 7 | 3 | 3 | 1 | 5—4 | 9 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 8 | 2 | 4 | 2 | 7—7 | 8 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 7 | 3 | 2 | 2 | 5—5 | 8 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 8 | 3 | 1 | 4 | 6—9 | 7 |
| „სპარტაკი“ (ნალჩიკი) | 8 | 2 | 3 | 3 | 5—9 | 7 |
| „დინამო“ (ტალინი) | 7 | 2 | 2 | 3 | 7—6 | 6 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 8 | 1 | 4 | 3 | 7—8 | 6 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 7 | 2 | 2 | 3 | 4—9 | 6 |
| „ბალტიკა“ (კალინინგრადი) | 8 | 1 | 4 | 3 | 4—9 | 6 |
| „როსტსელმაში“ (როსტოვი) | 8 | 1 | 4 | 3 | 4—10 | 6 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 7 | 1 | 3 | 3 | 8—8 | 5 |
| „სპარტაკი“ (გომელი) | 7 | 0 | 3 | 4 | 2—9 | 3 |

## II ჯგუფში

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

„დინამო“ (სტავროპოლი) — „თერგი“ (გროზნო) 0:1, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 1:0, „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „სპარტაკი“ (გომელი) 2:1, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „როსტსელმაში“ (როსტოვი) 4:0, „ბალტიკა“ (კალინინგრადი) — „კუბანი“ (კრასნოდარი) 1:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „რუბინი“ (ყაზანი) 1:0.

# მწვრთნელთა აზრით

კალათბურთელთა XXXII ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტმა თხოვნით მიმართა „ა" კლასის ვაჟთა I ლიგის გუნდების მწვრთნელებს შეედგინათ სსრ კავშირის ნაკრების საკუთარი ვარიანტი (12 კალათბურთელის შემადგენლობით). აი, ვინ რამდენი ხმა მიიღო:

**მცველები:** ზ. საკანდელიძე („დინამო", თბილისი) — 10, ს. ბელოვი („ურალმაში", სვერდლოვსკი) — 9, ა. ტრავინი (ცსკა) — 7, ა. კულკოვი (ცსკა) — 6, ვ. ხრინინი („დინამო", მოსკოვი), ვ. სარპალიუსი („ჟალგირისი", კაუნასი), ვ. სალუხინი (ასკ, კიევი) — 3-3, ვ. გლადუნი („სტროიტელი", კიევი), ნ. მარკადეევი („ურალმაში", სვერდლოვსკი), ა. გულბისი (ვეფ, რიგა) — 2-2, ვ. მუიჟნიეკსი (ვეფ, რიგა) — 1.

**თავდამსხმელები:** გ. ვოლნოვი (ცსკა), მ. პაულაუსკასი („ჟალგირისი", კაუნასი) — 12-12, ო. იურგენსონი (ვეფ, რიგა) — 10, პ. ტომპსონი („კალევი", ტარტუ) — 5, ვ. უგრეხელიძე, ა. სხიერელი (ორივენი — თბილისის „დინამო"), ი. კორნეევი (ცსკა) — 2-2, ვ. სოკოლოვი („დინამო", მოსკოვი), გ. ჩეჩურა (ასკ, კიევი), ნ. ბაგლეი („სტროიტელი", კიევი) — 1-1.

**ცენტრალური თავდამსხმელები:** ლ. ივანოვი („სპარტაკი", ლენინგრადი) — 10, ი. ლიპსო (ცსკა) — 8, ვ. ზუბკოვი (ცსკა), ა. სხიერელი („დინამო", თბილისი) — 5-5, ტ. ლეპმეტსი („კალევი", ტარტუ) — 4, ნ. სუშაკი (ასკ, კიევი) — 3, ვ. ეგლიტისი (ასკ, რიგა), ა. კანდელი („ურალმაში", სვერდლოვსკი), რ. ნესტეროვი (ასკ, ლენინგრადი), ა. პეტროვი („დინამო", მოსკოვი) — 2-2, ო. კრუმინში, ა. დრაგე (ორივენი — ვეფ, რიგა), ვ. ოკიპნიაკი („სტროიტელი", კიევი), რ. ვენზბერგასი („ჟალგირისი", კაუნასი), ნ. გილგნერი („დინამო", მოსკოვი) — 1-1.

როგორც ხედავთ, 12 კალათბურთელიდან მხოლოდ ორმა — გ. ვოლნოვმა და მ. პაულაუსკასმა დააგროვეს ქულათა მაქსიმალური რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ გ. ვოლნოვს „სოვეტსკი სპორტის" ყველა ანკეტაში ქულათა მაქსიმუმი აქვს მიღებული.

## ვ-დან ვ!

მ. ჩომახიძე ძლიერი მოჭადრაკეა, მაგრამ როცა ქ. გოგიავასთან მის პარტიას გავეცანით, გაკვირვებული დავრჩით. ახალგაზრდა პირველთანრიგოსანი 12 სვლაში დამარცხდა. ეს ყოვლად მიუტევებელია ისეთ ტურნირში, როგორიც საქართველოს ჩემპიონატია.

II ტურში ც. კახაბრიშვილმა ძლიერი შეტევით ფარ-ხმალი დააყრევინა დებიუტანტ ზ. შენგელიას. ა. ჩაიკოვსკაიამ დაამარცხა თავისი ძველი მეტოქე ნ. მანველოვა. ნ. ხუბულურმა მოუგო ა. ბაძალუას, ა. სვანაძემ — თ. ჩხიკვაძეს. ყაიმზე შეთანხმდნენ ნ. ჩიქობავა — გ. ლოლიშვილი და ლ. ნაჭყებია — თ. ხუგაშვილი. ც. კობაიძე — ნ. გიორგაძის პარტია გადაიდო.

III ტურში 14 წლის ნ. ხუბულურმა ეტლში ორი კუ მოიგო და ა. ჩაიკოვსკაია წაგების საშიშროების წინაშე დააყენა. მაგრამ ნორჩი მოჭადრაკე აჩქარდა, შეცდა და უპირატესობაც დაკარგა. უფრო მეტიც: პარტია ეტლების უარეს ენდშპილში გადადო.

კვლავ ენერგიულად ითამაშა ც. კახაბრიშვილმა — ამჯერად, მან დაამარცხა ც. კობაიძე. თ. ხუგაშვილმა სძლია ა. სვანაძეს, თ. ჩხიკვაძემ — ა. ბაძალუას. 11 წლის ნ. გიორგაძე დამარცხდა ქ. გოგიავასთან. ყაიმით დამთავრდა ნ. მანველოვა — ს. ჩიქობავას და მ. ჩომახიძე — ლ. ნაჭყებიას პარტიები. 2 პარტია გადაიდო.

ავადმყოფობის გამო ტურნირს გამოეთიშა ლ. ბელოზიოროვა.

3 ტურის შემდეგ დაწინაურდა ც. კახაბრიშვილი — 3 ქულა.

**თ. ნინოშვილი.**

## ჩვენი ამბები

● **პრაღა,** 19 მაისი. ჩოგბურთში ჩეხოსლოვაკიის ღია ჩემპიონატის მეორე წრეში ვაჟთა ერთეულებში საბჭოთა სპორტსმენმა ეგოროვმა დაამარცხა ავსტრიელი შულტხაისი — 6:4, 6:4, 6:3 მოროზოვამ წააგო მასპინძელთან — ნოიმანოვასთან—3:6, 7:9. შერეული წყვილების შეჯიბრებაში ეგოროვ — მოროზოვამ სძლიეს ბალატა — გრეიბკოვას (ჩეხოსლოვაკია) — 6:3, 6:1. დიდ წარმატებად მიიჩნევენ ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტები თანამემამულის — კოუდელკას გამარჯვებას მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელ დევიდსონთან (ავსტრალია) — 6:3, 5:7, 2:6, 8:6, 6:3. ამ შეხვედრაში მეტოქეებმა ლამაზად და ტექნიკურად ითამაშეს.

● **ტოკიო,** 19 მაისი. ძიუ-დოში იაპონიის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა მ. მატცუნაგა, რომელმაც ფინალში მოუგო ს. საკაგუჩის. ტურნირში 32 სპორტსმენი მონაწილეობდა. მატცუნაგა 26 წლისაა. იგი რიო-დე-ჟანეიროში გამართული შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია (ფინალში წააგო ოლიმპიურ ჩემპიონთან, ჰოლანდიელ ა. გეეზინკთან).

● **დონეცკი,** 19 მაისი. სსრ კავშირის აქ დამთავრებულ საიუბილეო, XX ჩემპიონატზე აკრობატიკაში ოქროს 2 მედალი მოიხვეჭა მინსკელმა ლიუდმილა ზდანიუკმა. მან გაიმარჯვა აკრობატულ ხტომებში და ჩემპიონატის პროგრამაში პირველად შეტანილ ბატუტზე ხტომებში. ვაჟთა შორის ბატუტზე ყველას აჯობა არმიელმა ვ. პალაგინმა, ხოლო აკრობატულ ხტომებში — ხარკოველმა ო. პენკინმა. თავისუფალ ვარჯიშში პირველნი იყვნენ ა. კოლომინა (ყაზანი) და კიეველი ვ. ნეჩაევი. შერეულ წყვილებში უძლიერესად აღიარეს ი. ბელიაევა — ვ. პოლინკინის „დუეტი", ვაჟებში — ვ. არაკჩეევი და ლ. იამკოვოი. ჯგუფურ ვარჯიშებში ჩემპიონები გახდნენ მოსკოველები პ. ანტონოვი, ი. ზოლოტოვი, ს. მიშუტა და მ. ფიოდოროვი. ჩემპიონატში მონაწილეობდა 10 სპორტსაზოგადოების 200-ზე მეტი სპორტსმენი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „შრომითი რეზერვების" აკრობატებმა. II ადგილზე არიან „ბურევესტნიკის", ხოლო III — არმიელი სპორტსმენები.

● **შეცინი,** 19 მაისი. მშვიდობის XIX ველორბოლის X ეტაპი (პოზნანი—შეცინი, 228 კმ) მოიგო იტალიელმა პ. გუერამ—5:20.21. გუნდურ ჩათვლაშიც მისმა თანამემამულეებმა გაიმარჯვეს. 10 ეტაპის ჯამში კვლავ წინაა ფრანგი ბ. გუიო. გუნდურ ჩათვლაში. საბჭოთა ნაკრები 3 წუთსა და 46 წამს უგებს II ადგილზე მყოფ პოლონელებს.

● **მილანი,** 19 მაისი. ადგილობრივმა საფეხბურთო კლუბმა „ინტერნაციონალემ" ასტრონომიული ანგარიშით (18:2) მოუგო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელებს — „სიმენტალის" კალათბურთელებს. სხვათა შორის, „სიმენტალის" კალათბურთელებს იმედი აქვთ, რომ არანაკლებ დამაჯერებელ რევანშს აიღებენ „ინტერნაციონალეს" ფეხბურთელებთან მატჩში, რომელიც ერთი კვირის შემდეგ გაიმართება, ოღონდ, ამჯერად, კალათბურთის მოედანზე.

## ჩვენი ამბები

# ბედაურები მეხიკოსკენ მიზელავენ

საცხენოსნო სპორტს ერთი და ორი საუკუნის ისტორია როდი აქვს. ცნობილია, რომ ძველ ბერძნებსა და რომაელებს ძალიან უყვარდათ დოღი და ეტლებით შეჯიბრება. და მაინც, მიუხედავად ამ საპატიო ასაკისა, მოულოდნელად წამოიჭრა პრობლემა, რომელიც დღემდე არასოდეს არავის მოსვლია აზრად. ცხენოსნები აქამდე მუდამ ბარში ასპარეზობდნენ, მეხიკოს XIX ოლიმპიადაში კი ზღვის დონიდან 2200 მეტრის სიმაღლეზე მოუწევთ შეჯიბრება. აბა, როგორ არ დაფიქრდნენ სპეციალისტები? — ვის შეუძლია წინასწარ გადაჭრით თქვას, რა გავლენას იქონიებს უჩვეულო პირობები ცხენებზე?

არ არის გასაკვირი, რომ საცხენოსნო საერთაშორისო ფედერაციის ბოლო გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც შვეიცარიაში ჩატარდა, თითქმის ყველა ამ საკითხზე ლაპარაკობდა.

იმ მიზნით, რომ წინასწარი წვრთნა სწორად წარმართონ, სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, სსრ კავშირის სპეციალისტთა და სწავლულთა ჯგუფი მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქში ჩავიდა.

მეხიკოდან ჩამოტანილ მასალას ახლა გულდასმით სწავლობენ მოსკოვის მეცხენეობისა და ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. როგორც გამოირკვა, ცხენების აკლიმატიზაციის პრობლემას შეიძლება თავი გაერთვას.

სწავლულთა და სპეციალისტთა წინადადებების მიხედვით, სსრ კავშირის საცხენოსნო სპორტის ფედერაციამ ნაკრების მომზადების გეგმა რამდენადმე შეცვალა. გუნდის ექიმს მ. სტაროსტინსაც მოემატა საზრუნავი. მის სამუშაო მაგიდაზე გაჩნდა 30 ცხენის პირადი საქმე, — სწორედ ეს ცხენები არიან მეხიკოს ოლიმპიადის კანდიდატები. „ავადმყოფობის ისტორია" მკაცრად აღნუსხავს ყოველთვიური სამედიცინო დაკვირვების შედეგებს — სასუნთქი გზების, ფილტვების, გულის და სხვა ორგანოების მდგომარეობას.

ეს დაკვირვებები კარგა ხანს ბარის პირობებში ტარდებოდა, მაგრამ ახლა გადაწყდა გაგრძელდეს ამიერკავკასიაში, რადგან აქაური ბუნებრივი პირობები რამდენადმე ჰგავს მეხიკოსას. მალე ერევანთან, 2200 მეტრის სიმაღლეზე, საცდელი შეკრება მოეწყობა. 1967 წელს აქ ჩატარდება უძლიერესი საბჭოთა სპორტსმენების შეჯიბრება ცხენოსნურ სახეობებში. ამ მატჩში, ისევე, როგორც სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში, ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა უნდა გამოვლინდეს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა გუნდის ოლიმპიური რემა უკვე შეუდგა გზას მეხიკოსკენ. თუმცა, ჯერ ათიდან ყოველი ვაკანტური ადგილისთვის, თუ მეტი არა, სამი ღირსეული კანდიდატი მაინც „იბრძვის", ყოველ მათგანს თავისი განსაკუთრებული, განმასხვავებელი ნიშნები აქვს, — თვისება, შესახედაობა, ასაკი. ზოგი უკვე საქვეყნოდ სახელგანთქმულია. მაგალითად, „აბსენტი", რომელმაც ორ ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა და განსაკუთრებით რომში გამოიჩინა თავი. ს. ფილატოვმა იქ სწორედ „აბსენტზე" მოიპოვა საცხენოსნო სპორტში ჩვენი ქვეყნისთვის პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი. „აბსენტი" ახლაც კარგ ფორმაშია. ფილატოვსა და მის ბედაურს მეხიკოში გამარჯვების დიდი შანსი აქვთ. თავისი „კორბსისა" ღრმად სწამს მოსკოველ არმიელს, რომის ოლიმპიადის მონაწილეს ი. კალიტას. განსაკუთრებით იქცევს ცხენოსნების ყურადღებას თექური ჯიშის ულაყი „პეპელი". ცნობილი ამბავია, რომ გასახედნად ჩვეულებრივ ფაშატს ან იაბო ცხენს ირჩევენ ხოლმე, რადგან ესენი უფრო თვინიერი და დამყოლი არიან. მაგრამ მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტმა, 25 წლის სპორტსმენმა ე. პეტუშკოვამ დაარღვია ეს ტრადიცია და არჩევანი ამაყ, გულარაღო „პეპელზე" შეაჩერა.

უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სამჭიდელთა გუნდში. ამ გუნდის ახალი წევრებიდან შეიძლება გამოვყოთ ვ. სუვოროვი, რომელიც „ქირურგით" გამოვა, 24 წლის ე. კალოევი მისი „აისბერგით", 19 წლის სტუდენტი ა. ევდოკიმოვი „პოდაროკით".

დიდი წარმატებით თავს ვერ მოიწონებენ ჩვენი კონკურის ოსტატები. თუმცა, მეხიკოში სასიხარულო ცვლილებების იმედი უნდა ვიქონიოთ. ამ ბოლო ხანებში კარგად გამოდის არმიელი სპორტსმენი ე. შაბაილო. მან თავისი „ემანაციით" ბევრ საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და უძლიერესთა რიცხვში მოხვდა, კერძოდ, მოიგო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა და ევროპის პრიზი. დიდ იმედს იძლევიან „ბურევესტნიკის" სპორტსმენები ე. კუზინი და ევროპის ჭაბუკთა 1965 წლის პირველობის მონაწილე, სპარტაკელი ვ. ენოხოვი, რომელიც 6 წლის, წმინდასისხლიანი ულაყი „ზაურით" ასპარეზობს. ახალგაზრდა, ნიჭიერ სპორტსმენებს რთულ სიტუაციაში სწრაფად გარკვევის იშვიათი უნარი აქვს.

— ყველაზე უფრო აკლიმატიზაციის პრობლემა გვაფიქრებს, — ამბობს საბჭოთა ნაკრების მწვრთნელი ნ. შელენკოვი. — გამოუცდელობა სერიოზულ ამოცანებს აყენებს ჩვენს წინაშე. მაგრამ იმედი გვაქვს ამ საკითხსაც წარმატებით გავართმევთ თავს. რაც შეეხება ჩვენს სამზადისს, საგრძნობლად გავზარდეთ საწვრთნელი დატვირთვა, მეტ ყურადღებას ვაქცევთ ცხენების ფიზიკურ მომზადებას, ვცდილობთ დახვეწილი და ძალდაუტანებელი იყოს გახედნის ოსტატების ყოველი მოძრაობა.

საბჭოთა სპორტსმენები წლეულს მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ჩემპიონატში, რომელიც დაბრკოლებათა გადალახვაში ჩატარდება. შემდეგ კი გახედნის ოსტატები მსოფლიო პირველობაში გამოვლენ.

ჩვენ ცხენოსნებს სერიოზული გამოცდა ელით ინგლისში, სადაც სამჭიდში მსოფლიოს და ევროპის ჭაბუკთა პირველობები უნდა ჩატარდეს. არა ერთი შეჯიბრება მოეწყობა ჩვენს ქვეყანაშიც.

10 საუკეთესო ცხენით დატვირთული საბჭოთა სატრანსპორტო თვითმფრინავი „ანთეი" XIX ოლიმპიური თამაშების დედაქალაქისკენ ორი წლის შემდეგ აიღებს კურსს, მაგრამ ჩვენი სპორტსმენები უკვე გულმოდგინედ ემზადებიან ამ დიდი ასპარეზობისთვის.

**ა. ჩისტოვი.**

## ოპერაცია „ანტიდოპინგი"

**ბელფასტი.** ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გ. კევანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატს მოემსახურება სპეციალური საექიმო კომისია, რომელიც კონტროლს გაუწევს ანტისადოპინგო პროფილაქტიკას.

კევანის განცხადებით, ეს კონტროლი არ იქნება საყოველთაო და სავალდებულო. მედიკოსები მხოლოდ ფიფა-ს წევრთა მოთხოვნის შედეგად ამოქმედდებიან. თუმცა, დასძინა მან, — არის აზრი, რომ საექიმო შემოწმება 16-ვე გუნდის წარმომადგენლებმა გაიარონ. კომისიის წევრთა ვინაობას ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია საიდუმლოდ ინახავს. მათი გვარები ცნობილი გახდება მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინა დღეს.

**(საქ. ინფ.).**



ნაირობელ (კენია) სპორტის გულშემატკივრებს ამ ორი თვის წინათ საშუალება ჰქონდათ ენახათ საქვეყნოდ სახელგანთქმული თანამემამულე კ. კეინო, რომელმაც 800 მეტრზე რბენაში ოლიმპიურ ბრინჯაოს მედალოსან ვ. კიპრუგუტთან (მარჯვნივ) ერთად 12 მარტს 1 მილზე მეტი ირბინა ნაირობის აეროპორტიდან ქალაქის ცენტრალურ კინოთეატრამდე, სადაც ტოკიოს ოლიმპიადისადმი მიძღვნილი ფილმის პრემიერა უნდა გამართულიყო. ცნობილ ათლეტებს სურათზე თქვენ ხედავთ კინოფირებიანი კოლოფებით ხელში.

## ჩემპიონი ცნობილია

თურქეთის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინიშამდე კიდევ 2 ტური დარჩა, ჩემპიონი კი უკვე ცნობილია. ესაა სტამბოლის „ბეშიქთაში", რომელმაც 28-ე ტურში გასვლითი მატჩი მოუგო „იზმირსპორს" — 2:0. „ბეშიქთაშმა" ეს საპატიო ტიტული ხუთწლიანი „შესვენების" შემდეგ დაიბრუნა.

აი, ლიდერთა ხუთეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბეშიქთაში" | 28 | 50:14 | 46 |
| „გალათასარაი" | 28 | 53:19 | 41 |
| „გენჩლერ ბირლიგი" | 27 | 29:21 | 35 |
| „ფენერბახჩე" | 28 | 31:24 | 30 |
| „გეზთეფე" | 27 | 27:23 | 28 |

ფეხბურთი

## მამები და შვილები

**მონცა (იტალია).** ამას წინათ ქალაქის ავტოდრომზე გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება „ვიგორელის დიდ პრიზზე", რომელშიც მონაწილეობდნენ პოპულარული სპორტსმენები ასკარი და ფანჯიო.

იტალიელ ავტომოყვარულებს ახსოვთ წარსულში სახელგანთქმული სპორტსმენები, რომელთა შორის ორი ნამდვილად უძლიერესი და დაუმარცხებელი იყო. ესენია ალბერტო ასკარი და ხუან მანუელ ფანჯიო. ამჯერად კი ერთმანეთს მათი შვილები—ტონინო და კაკო ეჭიშპებოდნენ. გაიმარჯვა ასკარიმ, რომელიც „ლოტუსის" ფირმის მანქანას მართავდა. ფანჯიო შეჯიბრებაში „პრებხემის" ტიპის მანქანით გამოდიოდა, რომლის ფირმის — „არგენტინის" პრეზიდენტია ფანჯიო უფროსი.

**(საქ. ინფ.).**

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 05949